



**საერთაშორისო კონფერენცია
ეროვნულ-განმათავისუფლებელი და ანთისაბჭოთა
მოძრაობა კავკასიასა და
აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში**

მოსხენებათა თეზისები/ABSTRACTS OF PAPERS

**International Conference
NATIONAL-LIBERATION AND ANTI-SOVIET MOVEMENT
IN THE CAUCASUS AND EAST CENTRAL EUROPE**

**ეძღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს
On the 100th Anniversary of the 1924 Georgia Uprising**

**ოქტომბერი 3-5 October
თბილისი/Tbilisi
2024**

მხარდამჭერები / SUPPORTED BY:



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University



Mieroszewski
Centre

მიეროშევსკის ცენტრი
Mieroszewski Centre



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით
[გრანტის ნომერი CS-II-24-036]

The project was supported by Shota Rustaveli National
Science Foundation of Georgia (SRNSFG)
[grant number CS-II-24-036]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საერთაშორისო კონფერენცია

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი და
ანტისაბჭოთა მოძრაობა კავკასიასა და
აღმოსავლეთ ცენტრალურ ევროპაში**

ედღვნება 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს

მოხსენებათა თეზისები

3-5 ოქტომბერი
თბილისი
2024

მასაღებში დაცულია ავტორთა სტილი
In the proceedings the authors' style is retained

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2024

ISBN 978-9941-36-267-5

**პოლონეთის პოლიტიკის დილემები
საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში,
1939–1945**

გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ორმაგმა აგრესიამ პოლონეთის წინააღმდეგ 1939 წლის სექტემბერში პოლონეთის მთავრობისა და შეიარაღებული ძალების გადასახლებას საფრანგეთში, მოგვიანებით კი გაერთიანებულ სამეფოში, გამოიწვია. პოლონეთმა თავი საომარ მდგომარეობაში გამოაცხადა, როგორც გერმანიასთან (რომელმაც პოლონეთის ტერიტორიის 48% დაიკავა) ასევე სსრკ-სთან (რომელმაც მისი ტერიტორიების 52% დაიკავა). თუმცა, გერმანულ-საბჭოთა ომის დაწყებამ 1941 წლის ივნისში და დიდი ბრიტანეთის მხრიდან ზეწოლამ, რომ პოლონეთსა და მის ახალ მოკავშირეს, სტალინურ სსრკ-ს შორის ურთიერთობები დარეგულირებულიყო, პოლონეთის მთავრობა პოლიტიკური დილემის წინაშე დააყენა. ან დათანხმდებოდა ურთიერთობების ნორმალიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერას, რაც შესაძლებლობას მისცემდა პოლონური არმიის ფორმირებას სსრკ-ში და პოლონეთის მოქალაქეების გათავისუფლებას საბჭოთა გულაგებიდან, იმ სიტუაციაში, როცა სსრკ აშკარად უარს ამბობდა 1921 წლის საზღვრის კანონიერების დადასტურებაზე და 1939 წელს ოკუპირებული პოლონეთის სახელმწიფოს ტერიტორიის პრეტენზიებზე უარის თქმაზე, ან არ მოაწერდა ხელს და რისკავდა პოლიტიკურ მარგინალიზაციას ანტიჰიტლერულ კოალიციაში.

შემდეგ წლებში საზღვრის საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაკავების დილემას მეორე დილემა დაემატა – რა პოზიცია დაეკავებინა სსრკ-ის მოთხოვნებზე, რომლებიც პოლონეთის სუვერენიტეტის არსს არღვევდა, მაგალითად, მთავრობის რეორგანიზაცია, რომლიდანაც უნდა გამოეერიცხათ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ყველაზე კრიტიკულები იყვნენ

სსრკ-ის მიმართ – „პროფაშისტური ძალები“ საბჭოთა ნომენკლატურაში. საბოლოოდ, გაჩნდა მესამე დილემა – რა ზომით შეეძლო პოლონეთის მთავრობას ბრიტანეთისა და ამერიკის პოლიტიკის კრიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელსაც, როგორც წესი, არაშორსმჭვრეტელად მიიჩნევდნენ.

ამ დილემასთან დაკავშირებით პოლონეთის სხვადასხვა პოლიტიკურ ძალას განსხვავებული პოზიციები ჰქონდა.

წარმოდგენილი კვლევა, მცდელობაა განიხილოს თითოეული ამ პოზიციის მიზეზები, იმ დროისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ხელმისაწვდომი იყო როგორც სსრკ-სთან კომპრომისის პოლიტიკის მოწინააღმდეგეებისთვის, ასევე მომხრეებისთვის.

**ფინეთის ომი დამოუკიდებლობისათვის
ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ
1918–1920 წლებში**

წინამდებარე პრეზენტაცია წარმოადგენს ფინეთის დამოუკიდებლობისთვის ომის ძირითადი ელემენტების სისტემურ ანალიზს: მხარეების მიზნები და რესურსები, უფრო ფართო სტრატეგიული სიტუაციის გავლენა, უმნიშვნელოვანესი ოპერაციები და მშვიდობის ხელშეკრულების არსებითი შინაარსი.

ფინეთის დიდი საჰერცოგო იყო პირველი რეგიონი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა რუსეთის იმპერიისგან 1917 წლის დეკემბერში. ბოლშევიკურმა რუსეთმა ფორმალურად აღიარა ფინეთის დამოუკიდებლობა, თუმცა არ შეუწყვეტია თავისი გაფართოებითი პოლიტიკა ფინეთის მიმართ. აღიარება მიზნად ისახავდა ფინეთის რადიკალური მემარცხენეების მხარდაჭერას, რომლებმაც 1918 წლის იანვარში დაიწყეს აჯანყება ფინეთის დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ, რუსი ბოლშევიკების მაგალითზე. ფინეთის რადიკალური მემარცხენეების მიზანი იყო სოციალისტური ფინეთი, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებდა საბჭოთა რუსეთთან, მაგრამ ლენინის მთავრობის რეალური მიზანი იყო ფინეთის რუსეთისთვის ხელახლა შეერთება.

ფინეთის დამოუკიდებლობისთვის ომის ყველაზე სასტიკი ფაზა მოხდა 1918 წლის გაზაფხულზე. ძირითადი მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთის მხრივ, ფინეთის რადიკალური მემარცხენეები, რომლებიც მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებდნენ რუსი ბოლშევიკებისგან, და მეორეს მხრივ, არასოციალისტური ჯგუფები, რომლებსაც გერმანია უჭერდა მხარს. დაბალი ინტენსივობის საომარი მოქმედებების პერიოდი გაგრძელდა 1918 წლის ზაფხულიდან 1920 წლის შემოდგომამდე, რომლის დროსაც ფინელი მოხალისეები ცდილობდნენ აღმო-

სავლეთ კარელიის ნაწილების ბოლშევიკური მმართველობისგან გათავისუფლებასა და ფინეთთან შეერთებას – კულტურული მიზეზების გამო, რადგან კარელები ენობრივად და ეთნიკურად ძალიან ახლოს არიან ფინელებთან.

ფინეთის დამოუკიდებლობისთვის წარმოებული ომი დასრულდა ტარტუს სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომელიც გაფორმდა ფინეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის ოქტომბერში. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რუსეთმა დაუყოვნებლივ დაარღვია ხელშეკრულება, რადგან მიუხედავად დაპირებისა, არ მიანიჭა ეროვნული ავტონომია კარელებს, რომლებიც დარჩნენ რუსეთის ტერიტორიაზე. შედეგად, კარელებმა დაიწყეს აჯანყება 1921-1922 წლებში ფინელების მხარდაჭერით, თუმცა წარუმატებლად.

ისტორიის და ისტორიული მეხსიერების „შექმნა“ საბჭოთა აზერბაიჯანში

წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის მთავარი მიზანია ერნესტ გელნერის კონსტრუქციონიზმის თეორიის გამოყენებით გაანალიზოს ისტორიის წერის როლი ახალი კოლექტიური იდენტობის კონსტრუქციაში. ვინაიდან ისტორიული მეხსიერება ისტორიკოსთა კალმით ხდება კოლექტიური მეხსიერების ნაწილი, ისტორიის წერა მნიშვნელოვან როლს შეიძლება თამაშობდეს ახალი იდენტობის შექმნაში.

ძირითადად, ეს ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს აზერბაიჯანის ეროვნული ისტორიის შექმნაზე საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის დროს, მოკლე ისტორიულ მიმოხილვას აკეთებს ცარიტული რუსეთის პერიოდზე და შემდეგ გადადის მოკლედ სიცოცხლეზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1920) დამოუკიდებლობის პერიოდში. ის ცდილობს უპასუხოს კითხვას, თუ როგორ ცდილობდნენ კოლონიური ხელისუფალნი ეროვნული აზროვნების ზეგავლენის მოხდენას ისტორიის წერის მეშვეობით. საბჭოთა კავშირზე დამოკიდებულებამ, რომელიც არა მხოლოდ ზღუდავდა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი პოლიტიკის ფორმირების შესაძლებლობებს და ამახინჯებდა მის ისტორიულ განვითარებას, არამედ საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა ეროვნული აზროვნების ზეგავლენის მოხდენას ისტორიის წერის მეშვეობით.

შემდგომში, იდენტობის პოსტკოლონიური დისკურსის მიხედვით, კვლევა აანალიზებს ეროვნული ისტორიის გადაწერას დეკოლონიზებულ აზერბაიჯანში. კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საბჭოთა ისტორიის წერის შედარება დეკოლონიზებულ აზერბაიჯანთან და აზერბაიჯანის პოსტკოლონიური იდენტობის მახასიათებლების განმარტება. საკითხის დეტალური შესწავლა აჩვენებს, რომ თურქულ სამყაროსთან

კუთვნილებასა და აზერბაიჯანელთა თვითგამორკვევას შორის გამოწვევა, როგორც დამოუკიდებელი ერი, არის პოსტკოლონიური ისტორიის წერის მთავარი მახასიათებელი აზერბაიჯანში.

მეთოდოლოგიურად, წარმოდგენილი არის ინტერდისციპლინარული ხასიათის და ემყარება ისტორიულ და პოსტკოლონიურ მიდგომებს.

**საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის
ამოცანები XX ს-ის 80-იანი წლების
ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში**

XX ს. 80-იანი წლებში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გააძლიერა ეკლესიის ცხოვრების გამოცოცხლებამ, რაც თავის მხრივ, ეკლესიის საჭეთმპყრობლად ილია II-ის (შიოლაშვილი) აღსაყდრებით (1977 წ.) დაიწყო. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოს ეკლესიის პოზიციის გამოხატვა მთლიანად ამ ერთ ადამიანზე იყო მიმდოძილი.

საარქივო მასალით დასტურდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის პატრიოტული მისწრაფებები ჯერ კიდევ საქართველოს ეკლესიის მეთაურად არჩევამდე. აღნიშნული მრავალჯერ გამოვლინდა სასულიერო წოდების შედარებით დაბალ საფეხურებზე მისი მოღვაწეობის პერიოდში, კათოლიკოს-პატრიარქად კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვებსა და შემდეგდროინდელ ქადაგებებში. ყოველივე ამან საქართველოს ეკლესიის გარშემო სულიერებას მოწყურებულ ახალგაზრდა პატრიოტთა შეკრება განაპირობა.

კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს ეკლესია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლების მისწრაფებათა ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენდნენ.

სტატიიში საუბარია ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში საქართველოს ეკლესიის წვლილზე, რაც გამოიხატებოდა ქართველებში პატრიოტული გრძნობისა და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებაზე ზრუნვაში, მრევლისათვის საქართველოს ერთიანობის დაცვის, ქართული ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების, ტარდიციების შენარჩუნების აუცილებლობის შეგონებაში.

საკითხის დასამუშავებლად გამოვიყენე კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ქადაგებები, სიტყვები, საშობაო და საადგომო ეპისტოლეები, ოფიციალური წერილები და პირადი მიმოწერები. ასევე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რამდენიმე წარმომადგენლისა და იმდროინდელი მრევლის წევრთა მოგონებები.

1917 წლიდან მოყოლებული ეკლესიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან ივერიის ეკლესიის V საუკუნიიდან მომდინარე ავტოკეფალიისა და მისი საჭეთმპყრობლის ტიტულის (კათოლიკოს-პატრიარქი) აღიარების მიღწევა, რისთვისაც საქართველოს ეკლესია 1917 წლიდან იღვწოდა. საკითხი წარმატებით 1990 წლის იანვარში გადაწყდა.

საქართველოსა და მისი ეკლესიის ცხოვრებაში სამწუხარო მოვლენას წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ერთსულოვნების არარსებობა. სტატიაში ვცდილობ ამ ფაქტის მიზეზების გამოვლენასა და გაანალიზებას.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა, რაშიც საქართველოს ეკლესიის წვლილი მნიშვნელოვანია.

მიხეიდ ბახტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

სამხრეთ კავკასიის დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ (1920–1921)

27 აპრილს დილით, 00 საათსა და 5 წუთზე XI წითელი არმიის ოთხი ჯავშანმატარებელი ბაქოს მიმართულებით დაიძრა. ამავე დროს დილით დაიწყო ბოლშევიკთა გამოსვლები თავად ბაქოში. აზერბაიჯანის პოლიტიკურმა ელიტამ მიიღო გადაწყვეტილება ბოლშევიკებისთვის წინააღმდეგობა არ გაენია და ხელისუფლება რევკომისთვის გადაეცა.

1920 წლის 1 მაისს მოხდა პირველი მცირე შეტაკებები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. ბრძოლის პირველი დღეების განმავლობაში უპირატესობას მოწინააღმდეგე ფლობდა. მან დაიკავა წითელი ხიდი და 5-6 ვერსის მანძილზე შემოიჭრა საქართველოს ტერიტორიაზე.

12 მაისს განხორციელდა მძლავრი იერიში, რომლის შედეგადაც მოწინააღმდეგემ დატოვა საქართველოს საზღვრები. ქართულმა შენაერთებმა განაგრძეს შეტევა. სამხედრო მოქმედებები უკვე საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. 18 მაისს მთავარსარდალმა გენერალმა კვინიტაძემ მთავრობის თავმჯდომარისგან ბრძანება მიიღო, სამხედრო მოქმედებები შეეწყვიტა.

29 ნოემბერს ქალაქ იჯევანში სომეხმა ბოლშევიკებმა საბჭოთა ხელისუფლების შექმნა გამოაცხადეს. 2 დეკემბერს კი, სომხეთის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას გადასცემდა მთავარსარდალს. ამ თანამდებობაზე დაინიშნა გენერალი დრო. ამ უკანასკნელმა ერევანში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელთან ერთად გამოსცა ბრძანება, რომლითაც სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადა.

1921 წლის 11 თებერვლიდან 12 თებერვლის ღამეს საბჭოთა სომხეთის შეიარაღებული ძალებისა და XI არმიის რამდენიმე შენაერთმა შეტევა დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ.

16 თებერვალს საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები საბჭოთა რუსეთის XI არმიამ დაიწყო.

18 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა სცადეს თბილისის აღება მაგრამ მარცხი იწვნის. დაიწყო ერთკვირიანი ბრძოლები თბილისისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ წარმატებას ვერ მიაღწია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა გენერალმა გიორგი კვინიტაძემ ჩათვალა რომ თბილისის დაცვის რესურსია ამოწურულია და დედაქალაქის დატოვები ბრძანება გასცა.

4-5 მარტს ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა სცადეს ხაშური-ოსიურის რაიონში კონტრშეტევის განხორციელება თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს.

10 მარტს XI არმიის ნაწილები ქუთაისი აიღეს.

13 მარტს მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე ბათუმში ჩავიდა, სადაც უკვე იმყოფებოდნენ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრები.

17 და 18 მარტს ქუთაისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელსა და საქართველოს რევკომის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების შედეგად სამხედრო მოქმედებები შეწყდა.

1921 წლის ომში დამარცხებით საქართველომ დაკარგა არა მარტო დამოუკიდებლობა, არამედ ტერიტორიებიც, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ მეზობელ სახელმწიფოებს გადასცა.

გიეხი ბეჩიშვიდი

*ფხანგული კუდგუჩისა და ქაითვედ ხადხთან მეგობრობის ასოციაცია;
ღვეილის პიხვედი ხესპუბლიკის ისტორიული და კუდგუჩული ქაითუდ-
ფხანგული მემოხიადუხი ცენტგი, საფხანგეთი*

მოსკოვის შუიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციიდან 1924 წლის ეროვნული აჯანყების მომზადებამდე

რუსეთის ცარისტული იმპერიის საუკუნეზე მეტი ხნის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ძალებმა შექმნეს პირობები ჯერ რევოლუციური ბრძოლით, შემდეგ კი დემოკრატიული და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობით.

სამწუხაროდ, დემოკრატიული საქართველო, 34-თვიანი გამოცდილებისა და მნიშვნელოვანი დემოკრატიული მიღწევების შემდეგ, ექვსკვირიანი სასტიკი ბრძოლის შედეგად ბოლშევიკური რუსეთის ჯარებმა დაიპყრეს.

მაშინვე, საქართველოს მთავარი პოლიტიკური ძალა, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია, იწყებს ხალხის სამხედრო ოკუპაციისადმი წინააღმდეგობრივი მოძრაობის ორგანიზებას. ჯერ მოკავშირეებით, სინდიკატით და კოოპერატივებით, შემდეგ კი სხვა ქართულ პოლიტიკურ ძალებთან ერთად. წინააღმდეგობრივი მოძრაობის ყოველდღიური ბრძოლის მთელი პროცესი ხორციელდება რესპუბლიკის ემიგრაციაში მყოფი მთავრობის კოორდინაციით, რომელსაც პარლამენტის ბოლო სხდომაზე მისცეს მანდატი უცხოეთში გასამგზავრებლად და, რომელიც ყველა ფორმით განაგრძობს ბრძოლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღსადგენად.

უცხოური ოკუპაციის პირველი დღიდან ეროვნული აჯანყებამდე სახალხო და დემოკრატიული ძალები ეწინააღმდეგებიან, აპროტესტებენ და იბრძვიან უცხოური სამხედრო ძალებთან.

ბისა და იმ სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგ, რომლის დამყარებასაც ცდილობს მოსკოვი.

წინააღმდეგობრივი მოძრაობების ძირითადი მიზანი დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებაა, მაგრამ დღის წესრიგში დგას ქართველი ერის არსებობა, იბრძვიან მისი სისტემური ძარცვის, ქვეყნის დანაწევრების წინააღმდეგ, ენის დაცვისთვის, მისი ინსტიტუციების შენარჩუნებისთვის, დემოკრატიისთვის და არსებობის უფლებებისთვის.

პირველი მოძრაობები და დაპირისპირებები ნათლად აჩვენებს, რომ ქართველ ხალხს აქვს ძლიერი ნება იბრძოლოს იმ იდეალებისთვის, რისთვისაც მრავალი წელი იბრძოდა და უდიდესი მსხვერპლი გაიღო. 4 წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით, მიმდინარეობდა ეროვნული აჯანყების მომზადება.

გლეხთა წინააღმდეგობის ფორმები და მასშტაბები უკრაინაში: კოლექტივიზაციიდან ჰოლოდომორამდე

1929 წელს მასობრივი კოლექტივიზაცია დაიწყო, რაც კერძო საკუთრებისა და ლიბერალური ეკონომიკური მექანიზმების ლიკვიდაციას ნიშნავდა. ამის წინააღმდეგ ოცმა მილიონმა უკრაინელმა გლეხმა სხვადასხვა სტრატეგიით იბრძოლა: აქტიური და პასიური წინააღმდეგობის ფორმებით.

„ტერორისტული აქტები“ (1928 წლის პირველ ნახევარში 113; მეორე ნახევარში 302; 1929 წელს 1396; 1930 წელს 2779) მოიცავდა ცეცხლის გაჩენას, პარტიისა და DPU-ს აქტივისტების მკვლელობას, სოფლებიდან ხელისუფლების წარმომადგენლების განდევნას და გლეხების მიერ საკუთარი ხელისუფლების ორგანოების შექმნას.

აჯანყებები და ამბოხებები განსაკუთრებით აქტიური იყო 1930 წელს (4098, მთლიანი საკავშირო აჯანყებების 1/3). კოლექტივიზაციისა და განკულაკებისთვის სასტიკი წინააღმდეგობის გამო დაპატიმრებული თითქმის 15,000 ადამიანი 1930 წლის მაისისთვის გადაასახლეს. ქალთა აჯანყებებიც ამ მოძრაობის ნაწილი იყო. გლეხები ასევე ეწინააღმდეგებოდნენ მარცვლეულის გატანას მათი სოფლებიდან და თავს ესხმოდნენ საბრძოლო მალაზიებს.

ბუკლეტები (1211 შემთხვევა 1930 წელს) შეიძლება განიხილებოდეს როგორც აქტიურ და პასიურ წინააღმდეგობას შორის გარდამავალი ფორმა.

იყო წინააღმდეგობის პასიური ფორმებიც: შინამეურნეობების გაყიდვა/დატოვება; ქალაქებში და დონბასის მაღაროებში გაქცევა; სოფლის ხელისუფლების მოსყიდვა; საბოტაჟი; პეტიციების დანერგვა.

კოლმეურნეობებიდან გასვლა (41,200 ოჯახი) და მასობრივი აჯანყებები (923) 1932 წლის პირველ ნახევარში, ალბათ, იყო

იმ გადაწყვეტილებების ბიძგი, რაც შიმშილობის ორგანიზებას ახდენდა. 1932-1933 წლების ბოლოს რეპრესიებითა და შიმშილით განიარაღებული და დაქანცული გლეხები ახალ უიარაღო ინდივიდუალურ წინააღმდეგობის ფორმებს მიმართავდნენ. ეს იყო: საკვების განაწილება სოფლის ხელისუფლების მიერ მშვიერი თანასოფლელებისთვის; კულაკების ბავშვების კვება; ძიების ბრიგადაში შესვლაზე უარი; კოლმეურნეობაში შესვლაზე უარი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის უკრაინაში სოფლის მოსახლეობის წილი საერთო მოსახლეობაში 81.8%-იდან 63.3%-ამდე შემცირდა. გარდა ამისა, 1933 წელს 500,000-ზე მეტი უკრაინელი რეპრესირებულ იქნა უკრაინაში.

ადექსანდრე დაუშვიდი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა (1921-1923)

ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაიწყო საქართველოში საბჭოთა რეჟიმის ძალმომრეობით დამყარებისთანავე და მისი საფუძველი გახდა ქართველი ერის დიდი უმეტესობის დაუმორჩილებლობის მოძრაობა, რომელმაც მსოფლის საზოგადოებრიობის ყურადღება თავიდანვე მიიქცია (მხედველობაში გვაქვს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის რ. მაკდონალდის განცხადება და სხვ.). ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა დღემდე მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, თუმცა არსებობს ლიტერატურა, რომელშიც ასახულია პარტიზანული მოძრაობის სხვადასხვა ესპექტი, განვითარების ეტაპი (ი. კაჭარავა, კ. შელია, უბლუაშვილი, ო. ჯანელიძე, ა. დაუშვილი, კ. წენგუაშვილი, თ. ენდელაძე და სხვ.)

მოხსენებაში პირველწყაროების (საქართველოს სსრ შინა-სახკომის არქივი, მემუარული მასალა, კომუნისტური და საზღვარგარეთული ქართული პრესა) შეჯერების საფუძველზე მოცემულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (კახეთში, ქართლში, სვანეთში, სამხრეთ საქართველოში, სამეგრელოში, აჭარასა და აფხაზეთში) ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის ფორმირების პროცესი, განსაზღვრულია მისი რეგიონალური თავისებურებები, პარტიზანული რაზმების დისლოკაციის ადგილები, პარტიზანების გადაადგილების მარშრუტები და ა.შ.

მოხსენებაში გარკვეულია ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის ანტისაბჭოთა პარტიებთან (ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და სხვ.) ურთიერთობის ხარისხი, თანამშრომლობის მახასიათებლები და კონკრეტული შედეგები.

გარკვეული პარტიზანული რაზმების ფორმირების თავისებურებები, მათი რაოდენობრივი, ეროვნული თუ კუთხური შემადგენლობა, ასაკობრივი და სოციალური მდგომარეობა, მათი ყოველდღიური ცხოვრება.

სპეციალურად არის შესწავლილი პარტიზანული რაზმების ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა, მოცემულია იარაღის შევსების, მოპოვების თავისებურებები, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთიერთობების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები და ა.შ.

გარკვეულია ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, განსაზღვრულია მთავრობის ბრძოლის ფორმები და მეთოდები, განსაზღვრული სპეციალური სადამსჯელო ჯგუფების („ჩონი“) მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები, წარმოჩენილია ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი ორგანიზატორები და აღმსრულებლები (ბერია, კვანტალიანი, წერეთელი, ერისთავი და სხვათა საქმიანობა.).

საუბარია „ჩოლოყაევშინას“ ფენომენზე, მის თავისებურებებზე და ამ ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებებზე. პარტიზანების ეს რაზმი უკვე 1924 წელს სახალხო აჯანყების მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდება.

მოცემულია ანტისაბჭოთა მოძრაობის შეფასებები (საბჭოთა, პოსტსაბჭოთა პოზიციებიდან) და გაკეთებულია დასკვნა, რომ ანტისაბჭოთა პარტიზანული მოძრაობა, რომელიც საბჭოთა რეჟიმის დამყარებისთანავე განვითარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, გამოირჩეოდა მასშტაბურობით და ფართო ლოკაციით, თუმცა 1924 წლის აჯანყების დროს მისგან უფრო დიდ ეფექტს ელოდნენ, რის გამოც 1924 წლის აჯანყებამ მარცხი განიცადა.

ჩუსუფან დაუშვიდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

1924 წლის აჯანყების დამარცხების გამოძახილი ემიგრაციაში

1924 წლის აგვისტოს აჯანყების ჩახშობამ და რეპრესიებმა ევროპა დიდად აღაშფოთა. მას გამოეხმაურა სხვადასხვა მიმართულების პრესა, ბოლშევიკთა სისასტიკეს გამოხდნენ ევროპული სახელმწიფოები, სოციალისტები, ერთა ლიგა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

აჯანყების სისხლში ჩახშობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ემიგრაციაში. იმავე წლის ნოემბერში სტამბოლში ქართველების, აზერბაიჯანელების, ჩრდილოკასიელების მონაწილეობით კონფედერაციის საფუძვლზე შეიქმნა „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“. კავკასიელთა ბრძოლას 1925 წელს ვარშავაში დაარსებული „პრომეთეს (ამირანის) კლუბიც“ ხელმძღვანელობდა.

სამ კავკასიელ ერს შემდეგ უკრაინელები და თურქესტანელები დაემატნენ. როცა ერთა ლიგაში რუსეთის მიღების საკითხი დადგა, „პრომეთემ“ ყველა საბჭოთა ჩაგრულ ერის გამოსარჩლება ითავა, „პრომეთეს ფრონტად“ გაფორმდა და 1934 წლიდან მოყოლებული ერთა ლიგის სხდომებს დასაბუთებულ ნოტებს, მემუარებს სისტემატიურად უდგენდა და ორმოცდაცამეტ სახელმწიფოს დამონებულ ერთა პრობლემებს ასხენებდა.

ემიგრაციაში ბრძოლის გასაგრძელებლად თავდაპირველად მოხერხდა 1925 წელს „საერთო ფრონტში“ ოთხი პოლიტიკური ძალის – სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-ტფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერები გაერთიანება. ახალგაზრდებმა შექმნეს ზეპარტიული პატრიოტული ორგანიზაცია „მომავალი“. 1925 წელს მას „თეთრი გიორგი“ ეწოდა და მძლავრ მოძრაობად იქცა.

ქართული ემოგრაცია აღნიშნავდა რელიგიურ, ქართულ ეროვნულ დღესასწაულებს, ზეიმებს, იუბილეებს. სამგლოვიარო და ტრაგიკული თარიღების აღნიშვნის ბიძგი გახდა საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების რეპრესიები და 1923 წელს დამკომის სამხედრო ცენტრის დახვრეტა. შემდეგ დაიწყო საქართველოს ოკუპაციის – 25 თებერვლისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების წლისთავების აღნიშვნა. აგვისტოს აჯანყების დამარცხების თარიღი პირველად პრალის ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ აღნიშნა და აჯანყების წლისთავზე, 1925 წლის 31 აგვისტოს კრებაზე რეზოლუცია მიიღო. 1926 წლის თებერვალში პარიზის ქართული საზოგადოების საგანგებო კრებაზე გადაწყდა „გლოვის დღე“ ყოველი წლის 29 აგვისტოს მომდევნო პირველ კვირაში აღენიშნათ.

მეორე მსოფლიო ომამდე ყოველ წელს აღინიშნებოდა ეს ტრაგიკული თარიღი ყველგან, სადაც ქართული სათვისტომოები არსებობდა (პარიზი, ბერლინი, მიუნხენი, პრაღა, ვარშავა და ა.შ.). იხდიდნენ პანაშვიდებს, იწვევდნენ კავკასიელებს და ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების წარმომადგენლებს, უცხოელ მეგობრებს. სათვისტომოს სხდომებზე გამოდიოდნენ სიტყვებით, მოგონებებით, ასრულებდნენ სამგლოვიარო მუსიკას, დამოუკიდებელი საქართველოს ჰიმნს „დიდებას“, იღებდნენ რეზოლუციებს და მიმართვებს საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი. ამ დღეს უძღვნიდნენ სტატიებს, ბროშურებს, აქვეყნებდნენ დახვრეტილთა და აჯანყების დროს დაღუპულთა, ასევე გადასახლებულთა და მეტეხის ციხეში დატყვევებულთა სიებს.

ანგონ ვაჭაიაძე

ინფორმაციის თავისუფლების განვითაების ინსტიტუტი
საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

1924 წლის საერთო-სახალხო აჯანყების საწინააღმდეგო პროპაგანდა: ვანო ალიხანაშვილის მოხსენებები

ვანო ალიხანაშვილმა მოხსენება 1926 წელს დაწერა, რომელიც მისივე მინაწერის თანახმად, მხოლოდ სტალინს და მახარაძეს უნდა ენახათ. მოხსენება ასახავს 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მიმართ დამოკიდებულებებს და საბჭოთა პროპაგანდის მეთოდებს. კონფერენციის ფარგლებში, მთავარი აქცენტი გაკეთდება იმაზე, როგორ ახასიათებს და აფასებს 1924 წლის აჯანყებას რიგითი კომუნისტი ჩინოვნიკი და პროპაგანდის რა საშუალებები ვრცელდებოდა საბჭოთა საქართველოში აჯანყების შესახებ. პროპაგანდა მიზნად ისახავდა საერთო-ეროვნული აჯანყების მონაწილეთა დისკრედიტაციას ხელახალი გამოსვლების პრევენციისთვის და საზოგადოების თვალში გაემართლებინათ სასტიკი რეპრესიული ტალღა, რომელიც აჯანყებას მოყვა. აქცენტი გაკეთდება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრების ემიგრაციის ნაკლებად ცნობილ დეტალებზე – როგორ ემზადებოდა აჯანყებისთვის ემიგრანტული მთავრობა, ვინ იყვნენ მთავარი მონაწილე პირები და ა.შ.

ვანო ალიხანაშვილის 1926 წლის მოხსენებაში ქრონოლოგიური თხრობა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობიდან, მისი თქმით „მენშევიკების ბატონობიდან“ იწყება და 1924 წლის აჯანყების შეფასებასაც მოიცავს. თავად ამ პიროვნებაზე ნაკლებია ცნობილი გარდა მისი მონაწილეობის მე-20 საუკუნის დასაწყისის რევოლუციაში და იმისა, რომ ალიხანაშვილი 1937 წლების დიდ ტერორს შეეწირა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის და ოკუპაციის პერიოდში კი, როგორც ჩანს, იგი აგენტურულ საქმიანობაში ჩაერთო: პირველი რესპუბლიკის დროს მუშაობდა

სახალხო გვარდიის მანგლისის შტაბში, შემდეგ აქტიურობდა ევროპაში, ბოლოს დაბრუნდა და „ანტიმენშევიკური“ მიმოხილვების წერასა და საბჭოთა ხელისუფლების ქებას დაუთმო დრო.

ალიხანაშვილის მოხსენებები ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში და სამეცნიერო მიმოქცევაში ნაკლებად ფიგურირებს.

**კომუნიზმთან დაპირისპირების პოლონური
გამოცდილება დღევანდელი პერსპექტივიდან**

სტატია მიმოიხილავს პოლონეთში კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლის 1945 წლის შემდეგ გამოყენებულ ძირითად ფორმებს: შეიარაღებული წინააღმდეგობიდან დაწყებული, სოციალური წინააღმდეგობის სხვადასხვა ფორმით, მასობრივი სოციალური პროტესტებითა და ორგანიზებული ოპოზიციური საქმიანობით დასრულებული. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა 1980-იანი წლების და სოლიდარობის მოძრაობის გამოცდილებას, ასევე იმ წინააღმდეგობის ფორმებს, რომლებმაც საერთაშორისო პერსპექტივიდან უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინეს. ასევე წარმოდგენილი იქნება პოლონური ანტიკომუნიზმის მეხსიერების ფორმირება და მისი გავლენა პოლონელების თანამედროვე იდენტობაზე. ავტორი ასევე შეეცდება უპასუხოს კითხვას, თუ რა ხარისხით აყალიბებს კომუნიზმისა და მასთან ბრძოლის მეხსიერება პოლონელების დღევანდელ წარმოდგენას რუსეთის მიმართ.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი 1924 წლის აჯანყების შესახებ

1924 წლის აჯანყება ბოლო ათწლეულების ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების ფოკუსშია. გამოიცა მრავალი წყარო, მემუარი, დოკუმენტური მასალა უშიშროების და პარტიული არქივის ფონდებიდან. ჩვენი კვლევის თემაა საბჭოთა საქართველოს და ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წრეების დამოკიდებულება აჯანყების მიმართ. გვიანდელ მემუარებზე, ეპოქის თანამედროვე პერიოდულ პრესაზე და საარქივო მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია განსხვავებული და წინააღმდეგობრივი შეხედულებები.

1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არცთუ იშვიათად მკლევართა იდეოლოგიური ხედვებით და სუბიექტური განწყობებით არის ნასაზრდოები. მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მუშაობისას ეპოქის თანამედროვე წყაროების განხილვა. აქტუალურია განსხვავებული პოზიციების მქონე პირთა ნააზრევის შეფასება და მათი პოზიციის გამომწვევი გარე ფაქტორების ახსნა.

წარმოდგენილ მოხსენებაში დასმული მთავარი კითხვა – რა იყო არსებითი სხვაობა საბჭოთა საქართველოს საზოგადოებასა და ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა შეხედულებებს შორის. როგორ მუშაობდა საბჭოთა პროპაგანდა და უშიშროების სისტემა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. რამდენად იმოქმედა ამან მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და გლობალურად რა ტიპის გავლენა მოახდინა საქართველოს უახლეს ისტორიაზე.

სამეცნიერო პრობლემის გადასაჭრელად კვლევაში გამოყენებულია ემპირიზმის მეთოდი. ნაბეჭდ მასალაზე (პუბლიცისტიკა, მემუარი, სიტყვით გამოსვლები) დაყრდნობით გაა-

ნალიზებულია ეპოქის თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება 1924 წლის აჯანყების მიმართ, როგორც აჯანყებამდე, ისე აჯანყების შემდგომ. შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეფასებულია ემიგრაციაში არსებული განსხვავებული შეხედულებები. გაანალიზებულია ამ განსხვავებების მიზეზი, გავლენის მომხდენი ფაქტორები,

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრი 1924 წლის აჯანყების შესახებ განსხვავებული და წინააღმდეგობრივია. ეს აზრი ხშირ შემთხვევაში ჩამოყალიბდა არა დამოუკიდებლად, არამედ გარე გავლენების შედეგად.

აგვისტოს აჯანყება: გზაჯვარედინი საერთაშორისო მემარცხენეებისათვის

1920 წელს სოციალისტი ლიდერების ვიზიტმა მთელი ევროპიდან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მომავალ მოვლენებს. თითქმის ორი წლის შემდეგ, როდესაც სოციალ-დემოკრატი და კომუნისტი ლიდერები ბერლინში შეხვდნენ ერთიანობისა და თანამშრომლობის საკითხის განსახილველად, სწორედ იმავე სოციალ-დემოკრატებმა, რომლებიც დასახელებული დელეგაციის წევრები იყვნენ, ჩაშალეს შერიგების ყველა იმედი მეორე და მესამე ინტერნაციონალებს შორის. მათი მტრული დამოკიდებულება ბოლშევიკური დიქტატურის მიმართ იზრდებოდა მას შემდეგ, რაც კარლ კაუცკიმ დაწერა თავისი პირველი სტატიები ლენინისა და მისი პარტიის დაგმობის შესახებ – ბოლშევიკური გადატრიალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ წარმატებით – სისხლიანი მეთოდებით – ჩაახშო 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში, ეს მემარცხენეების მხრიდან დაგმობით დასრულდა. ზოგიერთ შემთხვევაში, მაგალითად ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ, რომელიც მაშინ პირველად იყო ხელისუფლებაში, ეს დაგმობა შემდგომში დათმობით – და სიჩუმით – შეიცვალა. იმავე წლის ბოლოს ბრიტანელი პროფკავშირების ლიდერების ვიზიტი საქართველოში უკიდურესი მომენტი იყო.

მაგრამ სოციალ-დემოკრატიული და შრომითი პარტიების უმრავლესობის ლიდერები, მათ შორის ამ მოძრაობის მემარცხენეები, აღშფოთებული იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებით და ჩეკას მიერ საქართველოს მასობრივი ხოცვა-ჟლეტა საბოლოო დარტყმად აღიქვეს. შემთხვევით, ეს კაუცკის, საბჭოთა რეჟიმის ფიცხ მტერს, წილად ხვდა, შეედგინა ერთი წლის წინ

დაფუძნებული შრომისა და სოციალისტური ინტერნაციონალის პოზიცია. კაუცკის პროექტმა მსოფლიო სოციალ-დემოკრატები დაავალდებულა მხარი დაეჭირათ დიქტატურის შეიარაღებული წინააღმდეგობისთვის, როგორც ეს მოხდა საქართველოში.

ეს იყო გადამწყვეტი მომენტი. ამის შემდეგ საერთაშორისო სოციალისტურ და კომუნისტურ მოძრაობებს შორის ერთიანობის საკითხი აღარ წამოიჭრებოდა.

ორ ათწლეულში, სოციალისტური ინტერნაციონალი ხელახლა დაარსდა ფრანკფურტში და მისი დამფუძნებელი დეკლარაცია ისე ჟღერდა, თითქოს იგი თავად კაუცკის მიერ ყოფილიყო დაწერილი საქართველოში აგვისტოს აჯანყების შემდეგ. სოციალ-დემოკრატები ახლა ტერმინს – დემოკრატიულ სოციალიზმს – იყენებდნენ თავიანთი მსოფლმხედველობის აღსაწერად და კომუნისტებისგან თავის გასამიჯნად.

გოხ მაჩქაიანი

*ეხევნის საედმწიფო უნივერსიტეტი
სომხეთის მეცნიერებათა ეხოვნული აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სომხეთი*

გიხუჰი ბაიბუხიანი

*სომხეთის მეცნიერებათა ეხოვნული აკადემიის
სამეცნიერო-ანალიტიკური ფონდი გელახი, სომხეთი*

ანტისაბჭოთა მოძრაობა აზერბაიჯანში

1920-1930-იან წლებში

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების მცდელობისა ეპოვება მხარდაჭერა ყოფილი ჩინოვნიკებისა და ოფიცრების რიგებში, ასევე აზერბაიჯანში მუსავათის გავლენის ჩახშობის მცდელობისა, მალევე, 1920 წელს, ანტიბოლშევიკური არეულობა დაიწყო. დაიწყო სხვადასხვა რეგიონში. აზერბაიჯანის ნაწილები – განჯაში, ბაქოში, ლანკარანში, თურქეთის მხარდაჭერის გარეშე, ბოლშევიკების დამხობისა და ძალაუფლების აღების მიზნით. საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც აშკარად აცნობიერებდა რეგიონის სტრატეგიულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, დაუყოვნებლივ დაიწყო ამ მღელვარების ჩახშობა.

ბაქოში აჯანყება ჯავშნიანი მატარებლების გამოყენებით იქნა ჩახშობილი, რომელთა წარმატებულმა ქმედებებმა რკინიგზის ხაზები ბოლშევიკების კონტროლის ქვეშ მოაქცია. მუსავათის ძალებმა ვერ შეძლეს ორგანიზებული მოქმედება და რკინიგზის დაზიანება.

განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ წარმოადგინა აზერბაიჯანის ნავთობის მარაგების მნიშვნელობა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ, რომელიც ბოლშევიკების ხელში გადავიდა. 27 აპრილის ტელეგრამაში, რომელიც გაგზავნილი იყო ვ.ი. ლენინისადმი მე-11 არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოდან,

იტყობინებოდნენ: „ამიერიდან, მრავალმილიონიანი ნავთობის მარაგი საერთაშორისო ბურჟუაზიის ხელიდან გამოვიდა და პროლეტარიატის საკუთრება გახდა“.

იგივე გზით, ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ, ელიზავეტპოლში/განჯასა და ლენქარანში მღელვარებაც იქნა ჩახშობილი. ლენქარანში აქტიური იყო თურქული გავლენა, რადგან აჯანყებას ხელმძღვანელობდა თურქი ოფიცერი, იუსიფ ქემალ ბეი.

1920-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლება მუსავათის მზარდ გავლენას უპირისპირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ფარულად და მიწისქვეშეთიდან მოქმედებდა, მას ერთი დიდი უპირატესობა ჰქონდა – ინტელექტუალური გარემო, ინტელიგენცია და შეძლებული ფენა მჭიდრო კავშირში იყვნენ მუსავათის წევრებთან.

მთავარი პრობლემა იყო ის, რომ სკოლებსა და განათლებას ჯერ არ მიუღიათ საბჭოთა იდეოლოგია და ამ ვაკუუმს ავსებდნენ თურქეთში განვრთნილი მასწავლებლები – ან ხალხი კითხულობდა ოსმალურ ლიტერატურას, რაც გავლენას ახდენდა საერთო განწყობაზე.

თურქეთი მნიშვნელოვან, თუმცა დაფარულ, როლს ასრულებდა, განსაკუთრებით იმ მიზეზით, რომ მუსავათის ზოგიერთი წევრი გაქცეული იყო და თურქეთიდან მოქმედებდა, და იქიდან მოჰქონდათ პრერევოლუციური პან-თურქული გამოცემები, ბროშურები და სახელმძღვანელოები.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მალე, 1927 წლიდან დაწყებული, საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძოლის ახალი ეტაპი წამოიწყო, აქცენტი გააკეთა პან-თურქული განწყობების, მუსავათიზმისა და სეპარატიზმის ზრდაზე.

აშოგ მეღქონიანი

სომხეთის მეცნიეხებათა ეხოვნუდი აკადემიის
ისტოხიის ინსტიტუტი, სომხეთი

ანტისაბჭოთა ბრძოლა სომხეთის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად 1920-1921 წლებში

სამოქალაქო ომის მოგების შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის გაზაფხულზე გააძლიერა თავისი საგარეო პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში. აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, წითელი არმიის მე-11 არმიის ნაწილები შეიჭრნენ არცახში, შემდეგ სიუნიქსა და ნახიჭევანში.

სომხეთის მთავრობა, რომელიც ქემალისტურ-ბოლშევიკურ ბრძოლაში მოჰყვა, იძულებული გახდა, ძალაუფლება სისხლისღვრის გარეშე ბოლშევიკებისთვის გადაეცა სომხეთ-რუსეთის შეთანხმების საფუძველზე, რომელიც 2 დეკემბერს ერევანში დაიდო. თუმცა, სიუნიქის სომხებმა, გარეეგინ ნჟდეს ხელმძღვანელობით, არა მხოლოდ გადააყენეს საბჭოთა რეჟიმი ოქტომბერ-ნოემბერში, არამედ დეკემბრის 25-ში ტათევის მონასტერში მოწვეულ კონგრესზე გამოაცხადეს რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, სახელწოდებით „ავტონომიური სიუნიქი“.

1921 წლის შუა თებერვალში, ანტისაბჭოთა ბრძოლა დედაქალაქ ერევანშიც გავრცელდა. სომხეთის რევოლუციური კომიტეტი გაიქცა, და ლეგალური ხელისუფლება აღდგა ახალი მთავრობის ხელმძღვანელობით, რომელიც სომხეთის პირველი რესპუბლიკის უკანასკნელი პრემიერ-მინისტრი სიმონ ვრაციანი იყო. ეს მთავრობა, რომელიც ცნობილი იყო როგორც „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტი“, თანამშრომლობდა ავტონომიურ სიუნიქთან ანტისაბჭოთა ბრძოლაში და დამყარა კავშირები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, რომელიც კავკასიაში მოქმედი უკანასკნელი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მიუხედავად იმისა, რომ თებერ-

ვლის ბოლოს საქართველოს იძულებითმა გასაბჭოებამ რეგიონში სიტუაცია გაართულა, „სამშობლოს გადარჩენის კომიტეტმა“ შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება 1921 წლის 2 აპრილამდე. ამ დღეს, მებრძოლმა წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხელახლა აიღეს ერევანი.

სომხეთის მთავრობის წევრები, სომხეთის არმიის მრავალი სამხედრო პირი და გამოჩენილი ინტელექტუალები გადავიდა სიუნიქში. 1921 წლის 27 აპრილს „ავტონომიური სიუნიქი“ ხელახლა გამოცხადდა როგორც „მთიანი სომხეთი“, ხოლო 1 ივნისს გამოცხადდა „სომხეთის რესპუბლიკა“. სიუნიქში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა ივლისის შუა რიცხვებამდე. ამ დროის განმავლობაში გარეგინ ნჟდემ და მისმა თანამებრძოლებმა გააცნობიერეს რა, რომ რეგიონი გარდაუვალად გახდებოდა საბჭოთა სომხეთის ნაწილი, გადაკვეთეს მდ. არაქსი და თავი შეაფარეს ირანს.

შოხენა მუხუსიძე

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

ერთა თვითგამორკვევის უფლება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია (XX ს-ის 50-იანი წლები)

XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სააგენტოს მიერ შექმნილი ორგანიზაციის, „ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტის“ ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების ემიგრაციას დაუკავშირდა და მათ ბოლშევიზმთან ბრძოლაში დახმარებას და მხარდაჭერას დაჰპირდა. აშშ-ს მხარდაჭერის მოპოვება ქართული პოლიტიკური ემიგრაციისათვის მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ის გარკვეულ დათმობებს ითვალისწინებდა, რადგან აშშ არ სცნობდა ბოლშევიკური ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის უპირობო აღდგენას და ემიგრანტებს საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ერთა თვითგამორკვევის უფლების გამოყენებას სთავაზობდა.

ერთა თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პოზიციები გაიყო, ნაწილი (ძირითადად ეროვნულ-დემოკრატები, მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები და პირები) თვლიდა, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლებაზე დათანხმებით ისინი უარს ამბობდნენ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტზე, მეორე ნაწილი (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები) კი მიიჩნევდა, რომ ამერიკასთან თანამშრომლობის სანაცვლოდ ამ კომპრომისზე წასვლა გამართლებული იყო. XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ეს იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური თემა, რომელიც მრავალ ასპექტს მოიცავდა.

ეს საკითხი საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების სუვერენიტეტის მიმართ და ითვალისწინებდა თუ არა აშშ-ს საგარეო პოლიტიკა სსრკ-ის დაშლას, თუ ის მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის შეცვლას ისახავდა მიზნად? იმ ეტაპზე აშშ-ი მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობას აღიარებდა და ემხრობოდა რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილ ფედერაციულ სახელმწიფოს, ხოლო რუსულ ემიგრაციას უპირატესობა ანიჭებდა, რადგან სტრატეგია, რომელსაც აშშ-ი ახორციელებდა საბჭოთა კავშირის შიგნიდან დაშლას გულისხმობდა, ამ მხრივ კი აქცენტი ყველაზე მრავალრიცხოვან რუსულენოვან მოსახლეობაზე და ემიგრაციაზე კეთდებოდა.

ერთა თვითგამორკვევის ირგვლივ გამართულმა დებატებმა ნათლად გამოკვეთა რუსული ემიგრაციის დამოკიდებულება ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით. ისინი არ აღიარებდნენ რუსეთის იმპერიის საზღვრების ცვლილებას და მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხებისკენ მიისწრაფოდნენ, შესაბამისად მათთვის მიუღებელი იყო აშშ-ის შეთავაზება – ბოლშევიკური რეჟიმის მარცხის შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთა თვითგამორკვევის პრინციპი განხორციელებულიყო.

ერთა თვითგამორკვევის საკითხზე შეუთანხმებლობის გამო არ განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების სადაზვერვო სააგენტოს პროექტი – საბჭოთა კავშირის ემიგრაციის გაერთიანებით შექმნილიყო „ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტი“, რომლის საქმიანობაც ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. ეს უნდა ყოფილიყო ცივი ომის პერიოდში აშშ-ის მიერ წარმოებული ფსიქოლოგიური ომის ერთ-ერთი მიმართულება.

ანჯეი ნოვაკი

გადეუშ მანგოიფედის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი,
პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია, პოლონეთი

რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმი და მისი პოლონური გაკვეთილი (1918-1921)

პოლონეთი, რომელიც 1918 წელს აღიდგინა სახელმწიფო დამოუკიდებლობა საუკუნეზე მეტი ხნის გაყოფის შემდეგ. გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო რუსეთსა და გერმანიას შორის გზაზე, მაშინვე ახალი, საბჭოთა რუსეთის იდეოლოგიური და სტრატეგიული შეტევის გეგმების სამიზნე გახდა.

ავტორი აანალიზებს ამ გეგმების ძირითად მოტივებს და მათ განხილვას ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკურში (ლენინი, კამენევი, ტროცკი, სტალინი), როგორც ეს განვითარდა დასავლეთისკენ პირველი შეტევის დროს (1918 წლის ბოლოდან 1919 წლის დასაწყისამდე) და მეორე სამხედრო მცდელობისას „თეთრი პოლონეთის მკვდარი სხეულის“ გადალახვის გზით გერმანიამდე 1920 წლის ზაფხულში.

ამ ორი შეტევის წარუმატებლობის მნიშვნელობა განიხილება გლობალური რევოლუციურ-იმპერიული კონცეფციების (ლენინი, ტროცკი და სტალინი) ფონზე, ასევე იმ ცვლილებების ფონზე, რომლებიც აღნიშნულმა წარუმატებლობებმა გამოიწვია საბჭოთა სტრატეგიაში მომდევნო ათწლეულების განმავლობაში. როგორ მოახდინა პოლონეთის წარმატებულმა თავდაცვამ გავლენა საბჭოთა რუსეთის იმპერიულ პოლიტიკაზე ამიერკავკასიასა და აზიაში, არის ანალიზის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც დაფუძნებულია საარქივო წყაროებზე მოსკოვიდან, ვარშავიდან, ლონდონიდან და ნიუ-იორკიდან.

ჯაბა სამუშია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ქართული ემიგრაციის ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (XX საუკუნის 20-30-იანი წლები)

1920 წლის აპრილში ბოლშევიკებმა ბაქო დაიკავეს და აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა, იმავე წლის ნოემბერ-დეკემბერში წითელმა არმიამ დაიკავა სომხეთი. 1921 წლის 25 თებერვალს კი ბოლშევიკებმა თბილისი აიღეს. სამივე რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო და იქიდან დაეწყოთ ბრძოლა სამშობლოს თავისუფლებისთვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ევროპაში დაწყებული „პრომეთეული“ მოძრაობა.

საქართველოს საისტორიო არქივში დაახ. 30-ზე მეტი საქმე ინახება, რომლებშიც ასახულია ემიგრაციაში კავკასიის ხალხების ერთობლივი ბრძოლის ყველა ეტაპი. ეს არის ასობით სახის სხვადასხვა დოკუმენტი – ჩანაწერები, მიმოწერა, ოფიციალური დოკუმენტები, აზერბაიჯანელ პოლიტიკოსთა შესახებ არსებული ინფორმაციები, ნეკროლოგები და სხვა. ყველა ეს მასალა ძვირფასი წყაროა XX საუკუნის 20-30-იანი წლების კავკასიური ემიგრაციის ისტორიისთვის და, კერძოდ, *პრომეთეული* მოძრაობის კვლევისთვის. დიდი ნაწილი ამ მასალისა გამოქვეყნებულია და შესწავლილი (გ. მამულიას მიერ). მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ დოკუმენტებზე, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელია. საქართველოს საისტორიო არქივში დაცულია *პრომეთეული* მოძრაობის გამოჩენილი ლიდერების მიმოწერა ქართველ კოლეგებთან. უკანასკნელ ხანს ჩვენმა აზერბაიჯანელმა კოლეგებმა გამოაქვეყნეს რასულ-ზადეს და თოჰრიაბაშის პირადი კორესპონდენციები, თუმცა მათში არ არის ასახული ის მასალა, რომლებიც ქარ-

თულ არქივებშია და ეს დოკუმენტები კიდევ უფრო გაამდიდრებს არა მარტო ცალკეული პოლიტიკოსთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ნაშრომებს, არამედ, ზოგადად, პრომეთეული მოძრაობის შესახებ ჩვენს ცოდნას.

ასევე მნიშვნელოვანია ჟურნალ „პრომეთესა“ და პრომეთეული მოძრაობის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული მასალები. ეს არის ყოფილი კაკებეს და პარტიული არქივი, სადაც თავს იყრიდა სადაზვერვო ინფორმაციები. ქართულ ემიგრაციას პირველივე დღიდან თვალყურს ადევნებდა საბჭოთა დაზვერვა. საქართველოს შსს არქივში დაცულია ამ თვალთვალის მიერ შექმნილი მოხსენებითი ბარათები. პარიზში საბჭოთა დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან დანიშნული ფირუმოვი (Фирумов-Симон Симон Пирумов-Пирумиян) 1926 წ. დეკემბრის საიდუმლო მოხსენებაში საუბრობს კავკასიის ემიგრაციის საქმიანობაზე, მათ შორის პოლონეთის მთავრობასთან მჭიდრო ურთიერთობაზე. როგორც ჩანს, პარიზსა და სტამბულში არსებული რეზიდენტების მეშვეობით, ჩეკა ახერხებდა პირადი მიმოწერის ხელში ჩაგდებასაც. ცალკე უნდა გამოვყოთ ქართული ემიგრაციის მიერ შექმნილი ქართველთა სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მოწოდებული იყო ემიგრაციაში მყოფი სამხედროების გაერთიანებისაკენ და, ასევე, საქართველოში შესაბამისი სადაზვერვო ქსელის შესაქმნელად.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ემიგრაცია 1924 წლის აჯანყების შემდეგაც არ წყვეტდა ანტისაბჭოთა ბრძოლას. ის აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა ქვეყნის ემიგრაციებთან და ცდილობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნას.

თენგიზ სიმაშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1924 წლის საბჭოთა რეპრესიები და „წითელი ტერორი“ თელავისა და სიღნაღის მაზრებში (საარქივო მასალების მიხედვით)

თელავის და სიღნაღის მაზრებში 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შედეგები საკმაოდ ტრაგიკული აღმოჩნდა. საარქივო მასალებიდან დგინდება, რომ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა საშინელი სისასტიკე გამოავლინეს და მათთვის მიუღებელი სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი, იმდროინდელი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ადამიანები სიკვდილით დასაჯეს. ახლადმოძიებული საარქივო მასალები მეტყველებენ 1924 წლის აგვისტოსეექტემბერში განხორციელებული „წითელი ტერორის“ საშინელებებზე. მაზრის ე.წ. „სამეულების“ გადანაცვეტილებებით უამრავი ადამიანი ყოველგვარი ბრალეულობის დამტკიცების გარეშე იქნენ გასამართლებული და სიკვდილმისჯილი.

დღეს, თითქმის 100 წლის გასვლის შემდეგ, ძალიან ძნელია 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების სრული სურათის აღდგენა. თუმცა, არქივებში დაცული მასალები და თანამედროვეთა მოგონებები, ასევე ზეპირი ისტორიების სახით შემორჩენილი ინფორმაციები საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ თელავის და სიღნაღის მაზრებში მიმდინარე საბჭოთა რეპრესიების ქრონოლოგია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ქალაქ თელავში, 1924 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში დაიწყო სრულიად უდანაშაულო ხალხის დაპატიმრება. დასახვრეტად გამზადებული ადამიანები მიყავდათ თელავის სამაზრო ციხეში, რომელიც თელავში „ბატონის ციხის“ შიდა დასავლეთ ტერიტორიაზე მდებარეობდა. იმ დროს თელავში სამაზრო ციხე და

საბჭოთა პოლიტიკური პოლიცია – ჩეკა-ს მემკვიდრე გპუ – „პოლიტიკური ბიურო“ (პოლიტბიურო), თელავის ცენტრში, ერთმანეთის მახლობლად მდებარეობდა. „პოლიტბიურო“ „ბატონის ციხის“ დასავლეთ კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს, თავად ჯანდიერების ყოფილ სამსართულიან შენობაში იყო განლაგებული. დაპატიმრებულების ნაწილს ამ შენობაშივე ხვრეტდნენ, მეორე ნაწილი კი თელავის აღმოსავლეთით მდებარე ე.წ. „გიგოს გორაზე“ მიჰყავდათ და იქ ხდებოდა მათი სიკვდილით დასჯა. საარქივო მასალების გარდა, ამ ფაქტს ადასტურებს ჩვენს მიერ ე.წ. „პილიტბიუროს“ ყოფილ შენობაში კედლებიდან, ხოლო „გიგოს გორაზე“ კი, მიწიდან ამოღებული სამხაზიანი შაშხანების ტყვიის თავები.

საარქივო მასალებიდან ასევე ირკვევა, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ დაკმაყოფილდა უდანაშაულო ადამიანების დახვრეტებით და სოფლებიდან სასტიკი მეთოდებით მათთვის არასასურველი პირების, ოჯახების გაძევება დაიწყო. სიღნაღის მაზრის მთელ რიგ სოფლებში კი, მოხდა უდანაშაულო ადამიანების ფიზიკური განადგურებაც კი.

ავთანდილ სონღულაშვიდი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

ქართული ენის სტატუსი და ეროვნული მოძრაობა XX საუკუნის 70-იან წლებში

მსოფლიოში 5 500-ამდე ენაა, მათ შორის 700 – მთავარი. ერი კი 200-ზე ნაკლებია. ეროვნება ენაში პოულობს სულიერ ენერგიას. ამავე დროს ენაში ცხადდება ერის არსი.

1918 წლის 1 ოქტომბერს ეროვნულმა საბჭომ მიიღო კანონი ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ, რაც მოგვიანებით დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში აისახა.

საბჭოთა რეჟიმის პერიოდში საქართველოზე ზეწოლა ქართული ენით დაიწყო. მოითხოვდნენ წიგნების მხოლოდ რუსულ ენაზე გამოცემას. მიუხედავად ამისა, მოხდა ისე, რომ 70-იან წლებში საბჭოთა კავშირში მხოლოდ თბილისისა და ერევნის უნივერსიტეტებში იყო შესაძლებელი განათლების მიღება ეროვნულ ენებზე.

გარკვეული მიზეზების გამო საქართველოს საბჭოთა კონსტიტუციებში სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულმა ენამ მოიპოვა, რასაც მოგვიანებით ეწინააღმდეგებოდა მოსკოვი.

70-იანი წლების შუა ხანებში მსოფლიო პოლიტიკაში კარდინალური ძვრები განხორციელდა, რაც დაკავშირებული იყო 1975 წელს ჰელსინკში ეუთო-ს თათბირის მოწვევასთან. მიღებული აქტის თანახმად კონტროლი გაძლიერდა ადამიანის უფლებათა დაცვაზე, რამაც ხელი შეუწყო დისიდენტურ მოძრაობას, მათ შორის საქართველოში.

ეროვნულ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც რადიკალური ფორმების გამორიცხვით ცდილობდა საზოგადოების ევოლუცია მოეხდინა სულიერი განწმენდის გზით.

11978 წელს ახალი ძალით იფეთქა ქართველი ახალგაზრდების და ინტელიგენციის გამოსვლებმა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუმქებასთან.

პროტესტმა შედეგი გამოიღო. კრემლმა უკან დაიხია. კონსტიტუციაში აღდგა ქართული ენის სტატუსი. ამ გამარჯვებამ ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის დასასრული.

ნაგო სონღუდაშვიდი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

საბჭოთა რეჟიმი და ქართული დისიდენტური მოძრაობა (XX საუკუნის II ნახევარი)

1921 წლიდან მოყოლებული ქართველმა ინტელიგენციამ დიდი დარტყმა განიცადა საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან. ქართველ ეროვნულ ძალებს შეზღუდული და შეიძლება ითქვას, ჩამორთმეული ჰქონდა უფლება გარკვეული წვლილი შეეტანა საზოგადოების ეროვნული ცნობიერების განვითარებაში. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან მოყოლებული საქართველოში ყოველგვარი ეროვნული იდევნებოდა და ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა საკუთარი გავლენის დამყარებას, რის მისაღწევადაც ყოველგვარ საშუალებას მიმართავდა. არ ერიდებოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენებასაც. XX საუკუნის 40-50-იან წლებში გარკვეული გამოცოცხლება შეინიშნება ეროვნულ მოძრაობაში, განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ. მართალია, 1956 წლის 9 მარტის „სტალინის კულტის“ კრიტიკით ხრუშჩოვი და მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები შეეცადნენ საკუთარი ძალაუფლების დასაბუთებას, თუმცა საზოგადოება და განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილი ასე ადვილად უკვე აღარ ტყუვდებოდა. მათთვის ნათელი იყო, რომ ახალი ხელისუფლებაც წინამორბედის გამგრძელებელი იყო და ისევ ძველი წესებით აპირებდა ცხოვრებას. თუმცა ეროვნული ძალების ერთიანობის აუცილობლობასაც ნათლად აცნობიერებდნენ. სწორედ აღნიშნული იდეის ქადაგებას ისახავდა მიზნად ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პროტესტი არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას, რომ მათმა მოღვაწეობამ საფუძველი ჩაუყარა დისიდენტურ მოძრაობას საქართველოში, რაც ახალი ფორმით აღორძინდა 80-იან წლებში.

საშობოლოსადმი თაჱდაღებისა და გენში გარდაარი ერთგულების ისტორია ვარლამ ჩერქეზიშვილისგან

**(ედღვნება 1924 წლის შეთქმულებისა
დაღუპულ მამულიშვილებს)**

1924 წლის შეთქმულება კიდევ ერთი გმირული ფურცელია XIX-XX საუკუნეებში ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისა. ღირსეული გაგრძლება გმირული ეპოპეისა, რომელიც 1801-1802 წლებში რუსეთის იმპერატორების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ჯერ გაუქმებას (18.12.1801), შემდეგ კი მის რუსეთის გუბერნიად გამოცხადებას (12.09.1802) მოჰყვა შედეგად. კოლონიური მმართველობისადმი შეურიგებელ დაპირისპირებაში თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდნენ კახური სათავადოს, ჩერქეზიშვილების გვარის წარმომადგენლები. 1812-1814 წლებში კახეთის შეიარაღებულ აჯანყებაში მონაწილეობისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის ოჯახის 5 წევრი იქნა ციმბირში გადასახლებული. მოგვიანებით, ანტისახელისუფლებო საქმიანობისთვის იმავე გზის გავლა მოუხდა რუსეთში სასწავლებლად ჩასულ ვარლამს. თუმცა, მამულისადმი ერთგულებით ნასაზრდოვები გენი ვერც პეტრე-პავლეს „კაზიმატებმა“, ვერც გადასახლებამ ვერ გათეხა. ციმბირიდან ევროპაში გაქცეულმა მამულიშვილმა 60 წლის (!) განმავლობაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელთან ერთად, საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაშიც გამორჩეული წვლილი შეიტანა. XIX-XX საუკუნეების სამანზე პარიზში, ნიუ-იორკში, ლონდონში, ბრიუსელში, ბერლინში ერთმანეთის მიყოლებით გამოიცემოდა მისთვის საერთაშორისო აღიარების მომტანი, ანტიმარქსისტული შრომები: „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“, „ინტერნაციონალის სათავეებთან“, „მარქსიზმის დოქტრინები“ და სხვა.

იმავდროულად მას ერთი დღითაც არ შუწყვეტია სამშობლოზე ზრუნვა. ძველმა თანამებრძოლებმა, ვარლამ ჩერქეზიშვილმა და ილია ჭავჭავაძემ, თითქოსდა სამოღვაწეო ასპარეზი გაიყვეს. რასაც ილია აკეთებდა საქართველოში, იმავე მიზნებისთვის იღვწოდა ევროპაში პოლიტიკური ემიგრანტი ვარლამ ჩერქეზიშვილი. ეს იყო XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში რუსეთის კოლონიალური მმართველობის მამხილებელი წერილების გამოქვეყნება; 1783 წლის ტრაქტატზე დაყრდნობით ჰააგის 1907 წლის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოსთვის ავტონომიის მოთხოვნა; საზღვარგარეთ ქართული პოლიტიკური პარტიების, გაერთიანებების ჩამოყალიბება-საქმიანობის პროცესში აქტიური მონაწილეობა; ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღგენისათვის ბრძოლა; დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე საქართველოში დაბრუნება და, მენშევიკურ მთავრობასთან იდეოლოგიური უთანხმოების მიუხედავად, ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის საერთაშორისო აღიარებისა თუ მისი აღმშენებლობა-განმტკიცებისთვის ყველა პროგრესულ წამოწყებაში, მათ შორის პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში აქტიური მონაწილეობა; 1921 წლის თებერვალში კოჯორ-ტაბახმელასთან 75 წლის ბრძენკაცის იარაღით ხელში ბრძოლა.

საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ კი – კვლავ პოლიტიკური ემიგრაცია, ნისლიანი ალბიონი და, როგორც ამბობენ, სიკვდილის წინ ყველა ენა დავიწყებულზე, მშობლიურ ქართულთან ერთად ამოსული გაუტეხელი სული. რაც შეეხება ნეშტს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოხერხდა მისი ადგილსამყოფელის დადგენა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით უკვე დაწყებულია მუშაობა მისი ღონდონიდან სამშობლოში ღირსეულად დასაბრუნებლად.

**საბჭოთა ღია წვდომის სადაზვერვო ცნობები
პოლონეთზე: 1921–1938 წლებში საბჭოთა კავშირში
პოლონეთის საკითხის კვლევის აკადემიური
ინსტიტუტების მიმოხილვა**

საბჭოთა კავშირში პოლონეთზე ინფორმაციის შეგროვებას – მისი ეკონომიკის, სამხედრო, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების, ასევე ეროვნული უმცირესობების შესახებ – ახორციელებდნენ დიპლომატიური, სადაზვერვო, სამხედრო ორგანიზაციები და პრესა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის სტრუქტურებთან დაკავშირებულ დაწესებულებებსა და აკადემიურ ცენტრებს, რომლებიც შეიქმნა პოლონეთის საკითხების შესასწავლად. პრაქტიკაში, ისინი ანალიტიკური ცენტრების ფუნქციას ასრულებდნენ, სადაც პოლონეთში მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და ექსპერტული დასკვნები ძირითადად საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით ხდებოდა, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში – გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს საგარეო საქმეთა დეპარტამენტის და წითელი არმიის დაზვერვიდან გადმოცემულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით. მიღებული სპეციალიზებული გამოცემები ხშირად იყო შიდა გამოყენებისათვის გამიზნული კვლევები. მომზადებულმა კვლევებმა საბჭოთა ტექნიკურ, სამხედრო და დიპლომატიურ ელიტას მიაწოდეს ინფორმაცია პოლონეთის მეორე რესპუბლიკაში მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ეს ნაშრომები შემდგომში ენკავედეს მიერ გამოყენებულ იქნა საკუთარი კვლევების მოსამზადებლად, რომელიც მათ გამოიყენეს პოლონელი მოქალაქეების რეპრესიებისთვის, 1939 წლის 17 სექტემბერს პოლონეთზე განხორციელებული საბჭოთა აგრესიის შემდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობა და 1924 წლის დიდი ეროვნული აჯანყება

მოხსენების მიზანია არა მეცნიერულ-ისტორიოგრაფიული გამოკვლევა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის გარშემო, არამედ 1924 წლის აჯანყების წარმოჩენა პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი და პროპაგანდისტული ნააზრევის ქრილში.

რამდენადაც თავისუფლება უდიდესი სიკეთე და სათნოებაა ყველა სიკეთეთა და სათნოებათა შორის, რამდენადაც ეროვნული დამოუკიდებლობა არის საუკეთესო და სრულყოფილი გამოხატულება ეროვნული თავისუფლების, რამდენადაც ერის ღირსება, სიამაყე და თავმოყვარეობა უმაღლეს დადასტურებას ჰპოვებს სწორედ ეროვნულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში, ამდენად, სწორედ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა განაპირობებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ისტორიულ, ეროვნულ და პოლიტიკურ დიდმნიშვნელოვანებას.

მართალია აგვისტოს ამბოხება დამთავრდა ქართველი ერის დამარცხებით, იგი სასტიკად სისხლში იქნა ჩახშობილი ბოლშევიკი აგრესორების მიერ, რაც თავისთავად არის დიდი ეროვნული ტრაგედია, მაგრამ აგვისტოს აჯანყებით ქართველმა ერმა ღირსეულად და ჰეროიკულად გამოთქვა თავისი პრინციპული ნება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სასიკეთოდ, აშკარად გამოხატა და დაადასტურა დიდი ეროვნული შემართება და გამბედაობა უაღრესად ღირსეული მიზნის, უაღმატებულის იდეის – თავისუფლების გამო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ტოტალიტარული რუსეთის მიერ დაპყრობილ ერებს შორის, ქართველები აღმოჩნდნენ პირველები, რომლებიც ყველა სხვა დაპყრობილ ერებზე ადრე აუჯანყდნენ რუსეთის იმპერიას თავისუფლები-

სათვის, როგორც ეროვნული სუვერენიტეტის, იგივე დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა ბოლშევიკურმა იმპერიულმა დაპყრობამ ერებს, მათ შორის, ქართველ ერსაც წართვა, როგორც დამოუკიდებლობა, ასევე დემოკრატია, რადგან სსრ კავშირად სახელდებული რუსეთის საბჭოთა იმპერია იყო ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული სახელმწიფო, რომლის მართველობა ემყარებოდა ეროვნული და ადამიანური თავისუფლებებისა და უფლებების დათრგუნვას, ხელყოფასა და ჩახშობას. ამდენად 1924 წლის აგვისტოს აჯანყება წარმოადგენს ბრძოლასა და ძალისხმევას, როგორც დამოუკიდებლობისთვის, ასევე დემოკრატიისთვის. დამოუკიდებლობასთან ერთად დემოკრატიისთვის ბრძოლა უდავოდ აძლიერებსა და მნიშვნელოვნად ზრდის 1924 წლის აგვისტოს საერთო ეროვნულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, მის პოზიტიურობასა და პროგრესულობას.

ნიკო ჯავახიშვიდი

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საქართველო

„ქართულ შეფიცულთა რაზმის“ ჩეჩნებთან და ინგუშებთან კავშირის ისტორიიდან (1922-1924 წლები)

ქართულ-ჩრდილოკავკასიური ურთიერთობის ისტორია სა-
თავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. ხანგრძლივი თანაარსე-
ბობის განმავლობაში, ამ ერებს, ისევე როგორც ნებისმიერ
მეზობელ ხალხებს შორის, არსებობდა როგორც კეთილმეზო-
ბლური ურთიერთობები, ასევე დაპირისპირებაც.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ქართველ და ჩრდი-
ლოკავკასიელ ხალხთა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომ-
ლობა განახლდა, რაც განსაკუთრებით ინტენსიური 1917 წლის
ბოლოდან გახდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლი-
კა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა სტრატეგიუ-
ლი პარტნიორები იყვნენ.

რუსეთის სფსრ-ის მიერ საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ (1921), როდესაც ადგილობ-
რივმა საბჭოთა რეჟიმმა საკუთარი ძალაუფლების განმტკიცე-
ბა დაიწყო, ჩვენს ქვეყანაში იატაკქვეშა ოპოზიციური მოძრა-
ობა გაჩნდა.

1922 წლის თებერვალში, საქართველოს სსრ-ის ხელისუფ-
ლებამ „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით, მშო-
ბლიური კახეთის ქალაქ სიღნაღში დააპატიმრა ქართული არ-
მიის ყოფილი პოლკოვნიკი, თავადი ქაიხოსრო, იგივე ქაქუცა
ჩოლოყაშვილი (1888-1930), რომელმაც გაქცევა მოახერხა. მან
თავი შეაფარა პანკისის მთიან ხეობას (კახეთის ჩრდილო-და-
სავლეთი ნაწილი), სადაც ჩამოაყალიბა მომხრეთა ჯგუფი,
ცნობილი „ქართველ შეფიცულთა რაზმის“ სახელით.

1922-1924 წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედ
„ქართველ შეფიცულთა რაზმს“ კავშირი ჰქონდა როგორც პან-

კისის ხეობაში მოსახლე ქისტებთან (ქართულ ენაზე – ჩეჩენთა და ინგუშთა გამაერთიანებელი დასახელება), ასევე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ჩეჩნებთან და ინგუშებთან.

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ჩახშვეს ხევსურეთის აჯანყება (1922 წ.), ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ორი წლის განმავლობაში თავს აფარებდა აღმოსავლეთ საქართველოს, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის მთებს. საბჭოთა რეჟიმის ჯალათებზე შურისძიებამ ქაქუცა ეროვნულ გმირად აქცია. უცხოელ დიპლომატთა ცნობით, „ჩელოკაევის საქმე“ ბოლშევიკური რეჟიმის სამხედრო მეთაურთათვის დიდ საფრთხედ გადაიქცა.

1924 წლის აგვისტოს ბოლოს ქაქუცა ჩოლოყაშვილი კვლავ ჩამოვიდა მთიდან ბარში, რათა საქართველოში დაწყებულ დიდ ანტისაბჭოთა აჯანყებას შეერთებოდა. ის აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედ მემბოხეთა მსხვილ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა.

1924 წლის სექტემბერში, როდესაც საბჭოთა რეჟიმმა აჯანყება ჩაახშო, მათ მიერ დაწყებულ რეპრესიებს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი 26 რაზმელი საფრანგეთში გადასახლებით გაექცა.

ამრიგად, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, ქართველ მამულიშვილებთან ერთად, პანკისელი ქისტებიც გმირულად იბრძოდნენ.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება უცხოეთთან ვიკიპედიებში

1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყებიდან, რომელიც მიმართული იყო ბოლშევიკური მარწუხებიდან საქართველოს თავდასახსნელად, 100 წელი გავიდა. ქართველი ერისთვის ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას თავის დროზეც გარკვეული საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. ევროპის საზოგადოებრივი აზრი ოკუპირებული საქართველოსადმი კეთილგანწყობას გამოხატავდა, სოლიდარობას უცხადებდა უტეხი ნების, თავისუფლებისათვის შემართულ და დამპყრობელთან შეურიგებელ ქვეყანას. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ქართველი ხალხი უპირისპირდებოდა საბჭოურ-ბოლშევიკურ იმპერიას, რომელიც დასავლეთის სახელმწიფოებისათვისაც დიდი გამოწვევა იყო.

აგვისტოს შეიარაღებულმა გამოსვლამ თითქმის მთელი საქართველო მოიცვა. ამბოხებულებმა აიღეს სენაკი, სამტრედიი, ვანი და სხვ. მაგრამ მთლიანობაში აჯანყება წარუმატებლად დასრულდა. შეიპყრეს და გაასამართლეს დამკომის წევრები. საბჭოთა რეჟიმი სასტიკად გაუსწორდა აჯანყების მონაწილეებს. ოფიციალური ინფორმაციით, დახვრიტეს 800-მდე ადამიანი, თუმცა რეალურად დახვრეტილთა რაოდენობამ 5-6 ათასს მიაღწია. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიებს, აჯანყებულებთან კავშირში მყოფ თუ ეჭვმიტანილ უამრავ ადამიანს თავს სასტიკი რეპრესიები დაატყდა.

მაღალი დონის უახლეს ტექნოლოგიებში გამორჩეულია გლობალური კომპიუტერული ქსელი ინტერნეტი, რომელიც დაახლოებით 5 მილიარდ ნახევრამდე ვებგვერდს აერთიანებს. ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ ცნობილი ვებგვერდის სახელწოდებაა ვიკიპედია.

მიუხედავად იმისა, რომ ვიკიპედიას არა აქვს სამეცნიერო ხასიათი და დანიშნულება, ის იმდენად ფართოდ არის გავრცელებული ინტერნეტ სამყაროში, რომ კარგა ხანია გლობალურ ფენომენად იქცა და შეიცავს ამოუწურავ მასალას ნებისმიერ თემაზე. ვიკიპედია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვებგვერდია და აქტიურად გამოიყენება, როგორც საინფორმაციო ცნობარი.

დღეისათვის ვიკიპედია 300-ზე მეტ ენაზე არსებობს. მათ შორის ქართულადაც, რომელშიც 172 ათასამდე სტატიაა ატვირთული (ყველაზე მასშტაბური ინგლისურენოვანი ვიკიპედია 7 მილიონამდე სტატიას აერთიანებს). ამჟამად მსოფლიოში ვიკიპედიის მომხმარებელთა რაოდენობა თვეში 16 მილიარდს აღწევს და ათ ყველაზე მონახულებად ვებგვერდის ჩამონათვალშია შესული.

ვიკიპედიის, ანუ ე. წ. თავისუფალი ენციკლოპედიის დამონშება მეცნიერებაში ცუდ ტონად ითვლება და აკადემიურ ნაშრომებში მასზე, როგორც წყაროზე, მითითებას იშვიათად ვხვდებით. მიუხედავად ამისა, ამ ვებგვერდზე სტატიის გამოქვეყნება, მით უფრო სხვადასხვა ენაზე, მნიშვნელოვნად ზრდის ფაქტისა თუ მოვლენის, მისი მონაწილეების ვინაობისა და ბოლოს იმ ქვეყნის ცნობადობას, სადაც ეს ფაქტი თუ მოვლენა მოხდა.

მოხსენებაში განხილული იქნება, როგორაა ასახული 1924 წლის აგვისტოს აჯანყება 10-ზე მეტი ქვეყნის ვიკიპედიაში და ყურადღება გამახვილდება გამოვლენილ ხარვეზებსა და უზუსტობებზე, რომლებიც სასურველია გასწორდეს.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

International Conference

**NATIONAL-LIBERATION AND ANTI-SOVIET
MOVEMENT IN THE CAUCASUS AND EAST
CENTRAL EUROPE**

On the 100th Anniversary of the 1924 Georgia Uprising

ABSTRACTS OF PAPERS

**October 3-5
Tbilisi
2024**

THE DILEMMAS OF POLISH POLITICS TOWARDS THE SOVIET UNION, 1939-1945

The double German and Soviet aggression against Poland in September 1939 led to the exile of the Polish government and armed forces in France and later in the United Kingdom. Poland declared itself at war with both Germany, which occupied 48% of Polish territory, and the USSR, which occupied 52%. However, the outbreak of the German-Soviet war in June 1941 and pressure from Britain to regulate relations between Poland and its new ally, the Stalinist USSR, presented the Polish government with a political dilemma. Either agree to sign an agreement normalising relations, allowing the formation of a Polish army in the USSR and the release of Polish citizens from Soviet gulags, in a situation where the USSR clearly refused to confirm the validity of the 1921 border and to withdraw its claims to the territory of the Polish state occupied in 1939, or not sign and risk political marginalisation in the anti-Hitler coalition. In the years that followed, the dilemma of what position to take on the border issue was compounded by a second dilemma – what position to take on the USSR's demands that undermined the very essence of Polish sovereignty, such as e.g. the reorganisation of the government to exclude those politicians who were most critical of the USSR – 'pro-fascist forces' in Soviet nomenclature. Finally, there was a third dilemma – to what extent could the Polish government afford to criticise British and American policy towards the Soviet Union, which was generally regarded as short-sighted.

Different Polish political forces took different positions on this dilemma.

This paper attempts to discuss the rationale behind each of these positions, based on the information available at the time to both opponents and supporters of the policy of compromise with the USSR.

THE FINNISH WAR OF INDEPENDENCE AGAINST BOLSHEVIK RUSSIA, 1918–1920

This presentation systematically analyzes the key elements of the Finnish War of Independence: the goals and resources of the parties, the impact of the broader strategic situation, the most important operations, and the essential content of the peace treaty.

The Grand Duchy of Finland was the first region to declare independence from the Russian Empire in December 1917. Bolshevik Russia formally recognized Finland's independence, but it still did not give up its expansionist policy against Finland. The recognition was intended to support the Finnish extreme left, which started a rebellion against the democratic government in Finland in January 1918, following the example of the Russian Bolsheviks. The goal of the Finnish extreme left was a socialist Finland that would be in close cooperation with Soviet Russia, but the real goal of Lenin's government was to restore Finland to Russia.

The fiercest phase of the Finnish War of Independence occurred in the spring of 1918. The main parties were, on the one hand, the Finnish extreme left, which received significant support from the Russian Bolsheviks, and on the other hand, the non-socialist groups supported by Germany. The period of lower intensity warfare extended from the summer of 1918 to the autumn of 1920, in which Finnish volunteer forces tried to have parts of East Karelia freed from Bolshevik rule and annexed to Finland – for cultural reasons, as Karelians are linguistically and ethnically very close to Finns.

The Finnish War of Independence ended with the Tartu Peace Treaty between Finland and Soviet Russia in October 1920. Nevertheless, Soviet Russia immediately violated the treaty when, despite its promise, it did not grant national autonomy to the Karelians who remained on Russian territory. As a result, the Karelians started an uprising in 1921–1922 with the support of the Finns, which, however, failed.

“CREATION” OF HISTORY AND HISTORICAL MEMORY IN THE SOVIET AZERBAIJAN

The main goal of the proposed research paper is to analyze the role of history writing in a new collective identity construction, applying Ernest Gellner's theory of constructivism. Since historical memories under the pen of historians become part of collective memory writing history can play considerable role in the new identity construction.

Mainly, this paper focuses on the creation of national history of Azerbaijan under the Soviet authorities, making a brief historical overview on the Tsarist Russian period and then shifting to the short living independent Azerbaijan Democratic Republic (1918-1920). It tries to find the answer to the question of how colonial authorities tried to influence national thinking via writing history. Dependence on the Soviet Union, which not only limited possibilities of forming independent policies of Azerbaijan and deformed its historical development, but also Soviet authorities attempted to influence national thinking via writing history.

Further, guided by postcolonial discourses of identity, the research examines re-writing of national history in decolonized Azerbaijan. One of the major objectives of the research is to compare Soviet history writing with in decolonized Azerbaijan and to clarify features of postcolonial identity in the case of Azerbaijan. Scrutiny on the issue shows that challenge between belonging to the Turkic world and Azerbaijani self-determination as an independent nation, is a main feature of postcolonial history writing in Azerbaijan.

Methodologically, this study is based on historical and postcolonial approaches, being interdisciplinary in nature.

THE TASKS OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH IN THE NATIONAL LIBERATION MOVEMENT OF THE 1980S

In the 1980s, the national liberation movement in Georgia was strengthened by the revival of church life, which began with the enthronement of Ilia II (Shiolashvili) as the head of the church in 1977. During this period, the expression of the Georgian Church's position was entirely entrusted to this one individual. Archival materials confirm the patriotic aspirations of Catholicos-Patriarch Ilia II even before he was chosen as the head of the Georgian Church. These aspirations were manifested multiple times during his tenure at relatively lower clerical ranks, in his speeches at the time of his consecration as Catholicos-Patriarch, and in his later sermons. All of this led to the gathering of young patriots who yearned for spiritual revival around the Georgian Church. The Catholicos-Patriarch, and through him, the Georgian Church, influenced the formation of the aspirations of representatives of the national liberation movement. The article discusses the contribution of the Georgian Church to the struggle for national independence, which was expressed in the effort to raise patriotic feelings and national consciousness among Georgians. It involved advising the faithful on the importance of protecting the unity of Georgia and preserving the Georgian language, culture, morals, customs, and traditions. To explore this issue, I used the sermons, speeches, Christmas and Easter epistles, official letters, and personal correspondence of Catholicos-Patriarch Ilia II. I also referred to the memories of several representatives of the national liberation movement and members of the congregation from that period. During this same period, one of the significant tasks of the Church was to achieve recognition of the autocephaly of the Georgian Church, which dates back to the 5th century, and the title of its leader (Catholicos-Patriarch)

by the Ecumenical Patriarchate. The Georgian Church had been striving for this recognition since 1917, and the issue was successfully resolved in January 1990. A regrettable event in the life of Georgia and its Church was the lack of unity within the national liberation movement. In the article, I attempt to identify and analyze the reasons behind this disunity. The national liberation movement culminated successfully on April 9, 1991, with the restoration of Georgia's independence. The contribution of the Church of Georgia is important in this.

THE CONQUEST OF SOUTH CAUCASUS BY SOVIET RUSSIA (1920-1921)

On the morning of April 27, at 00:05, four armoured trains of the XI Red Army set off in the direction of Baku. At the same time, in the morning, armed demonstrations of the Bolsheviks began in Baku itself. The political elite of Azerbaijan decided not to resist the Bolsheviks and handed over power to the Revkom.

On May 1, 1920, the first small clashes took place also on the Georgian-Azerbaijan border. During the first days of the battle, the enemy had the upperhand. He occupied the Red Bridge and invaded the territory of Georgia for 5-6 verses.

On May 12, was carried out a powerful attack, as a result of which the enemy left the borders of Georgia. Georgian units continued their attack. Military operations were already taking place on the territory of Soviet Azerbaijan. On May 18, the commander-in-chief, General Kvinitadze, received an order from the chairman of the government to stop military operations.

On November 29, the Armenian Bolsheviks announced the creation of the Soviet government in the city of Ijevan, and on December 2, the government of the Republic of Armenia announced that it would transfer military and civilian power to the Commander-in-Chief. General Dro was appointed to this position. Together with the representative of Soviet Russia in Yerevan, he issued an order announcing the establishment of the Soviet government in Armenia.

On the night of February 11 to February 12, 1921, several units of the armed forces of Soviet Armenia and the XI Army launched an attack against Georgia.

On February 16, the XI Army of Soviet Russia started military operations against Georgia.

On February 18, the units of the Red Army tried to take Tbilisi, but failed. Began the battle for Tbilisi, which lasted one week. Despite the fact that the enemy did not succeed, the Commander-in-Chief of the Georgian Armed Forces, General Giorgi Kvinitadze, considered that the defense resources of Tbilisi were exhausted and ordered to leave the capital.

On March 4-5, the Georgian armed forces tried to carry out a counter-attack in the Khashuri-Osiauri region, but they did not succeed.

On March 10, units of the XI Army captured Kutaisi.

On March 13, the Commander-in-Chief General Kvinitadze arrived in Batumi, there already were members of the government and the constituent assembly.

On March 17 and 18 in Kutaisi, as a result of negotiations between the representative of the government of the Democratic Republic of Georgia and the representatives of the Georgian Revcom, the military operations were stopped.

With the defeat in the 1921 war, Georgia lost not only its independence, but also the territories that the Soviet government transferred to neighboring states.

Thierry BERICHVILI

*French Cultural & Friendship Association with the Georgian People,
Georgian Historical and Cultural Center of Leuville, France*

FROM THE INVASION OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA BY MOSCOW'S ARMED FORCES TO THE ORGANIZATION OF THE NATIONAL UPRISING OF 1924

After more than a century of occupation by Tsarist Russia, the forces of the Georgian Nation first created the conditions for revolution, then for building a democratic and social state for the Georgian Nation. Unfortunately, after 34 months of experience and tangible achievements, as well as significant democratic progress, Democratic Georgia was invaded by Bolshevik Russian troops following a fierce six-week struggle.

Immediately, the main Georgian political force, the Social Democratic Party of Georgia, organized the people's resistance to this military occupation. First with its allies, the workers' unions and cooperatives, then with other Georgian political forces. All this resistance work and daily struggles were coordinated with the Republic's government-in-exile, which, having been mandated during the last session of Parliament, continued the fight in all forms from abroad for the restoration of the independence of Democratic Georgia.

From the first day of foreign occupation to the first day of the National Uprising, the popular and democratic forces resisted, protested, and fought against the foreign military forces and the state structures that Moscow tried to establish. These movements were primarily organized to regain lost independence, but also for the very survival of the Georgian people, against the systematic plundering of the country, for the defense of their language, for the preservation of their institutions, against the dismemberment of the country, for democracy, and the right to exist.

The first movements and confrontations clearly demonstrated the Georgian people's determination to recover what they had fought for over so many years and with so many sacrifices. For four years, under the leadership of the Social Democratic Party, preparations for the National Uprising took place.

FORMS AND SCALE OF PEASANT RESISTANCE IN UKRAINE: FROM COLLECTIVIZATION TO HOLODOMOR

In 1929 mass collectivization began that meant liquidation of private property and liberal economic mechanisms. Resisting it, twenty million of Ukrainian peasants demonstrated a variety of strategies: active and passive forms of resistance.

“Terroristic acts” (113 in the first half of 1928; 302 in the second half; 1396 in 1929; 2779 in 1930) meant arsons, murder of party and DPU activists, elimination of authorities from a village with further creation of peasant own organs of power.

Revolts and uprisings were especially active in 1930 (4098, 1/3 of all-Union revolts). Almost 15,000 of individuals arrested for fierce resistance to collectivization and de-kulakization were deported by May 1930. Female uprisings were part of this movement. Peasants also resisted transferring of grain from their villages and attacked granaries.

Leaflets (1211 cases in 1930) could be treated as a transitional form between an active and a passive form of resistance.

There were passive forms of resistance: selling/leaving of households; escaping to the cities and Donbas mines; bribing the village authorities; sabotage; writing petitions.

Leaving of collective farms (41200 of households) and mass uprisings (923) in the first half of 1932 were probably the push for the decisions that orchestrated the famine. Disarmed and exhausted by repressions and starvation, peasants turned to new non-armed individual forms of resistance in the end of 1932–1933. These were: allotment of food by the village authorities to starving co-villagers; feeding of kulak kids; refusal to become a member of a searching brigade; refusal to enter a collective farm.

Thus, by the beginning of WWII amount of rural population in Ukraine in total amount of population dropped from 81,8% to 63,3%. Besides, in 1933 more than 500,000 of Ukrainians were purged in Ukraine.

ANTI-SOVIET PARTISAN MOVEMENT (1921-1923)

Immediately after the violent establishment of Soviet power in Georgia, an anti-Soviet partisan movement started in various regions of the country, the cause of which was the dissent of the overwhelming majority of the Georgian people. From the very beginning, the movement attracted the attention of the international community (we are talking about the statement of the Prime Minister of the United Kingdom R. MacDonald, and others). The anti-Soviet partisan movement has not yet been studied monographically, but some publications highlight various aspects of the partisan movement, and the stages of its development (I. Kacharava, K. Shelia, U. Bluashvili, O. Janelidze, A. Daushvili, K. Tsenguaishvili, T. Endeladze, and others).

The article, based on a comparison and verification of primary sources (the archive of the Shisakhkom – the People's Commissariat of Internal Affairs of the USSR, memorial materials, communist and Georgian foreign press), examines the process of the formation of the anti-Soviet partisan movement in different parts of Georgia (Kakheti, Kartli, Svaneti, South Georgia, Megrelia, Achara, Abkhazia), its regional features, the deployment of partisan detachments, the routes of their movements.

The nature of the relationship, the specifics of their cooperation, and the specific results of the anti-Soviet partisan movement with anti-Soviet political parties (National Democratic Party, Social Democratic Party, etc.) have been established.

The characteristics of the formation of partisan detachments, their numbers, national or regional composition, age, and social status, as well as their daily life were revealed.

We deliberately focused on studying the strategy and tactics of conducting combat operations by partisan detachments, the speci-

fics of supply, obtaining weapons, the positive and negative aspects of their relationships with the population, etc.

The policy of the Soviet government regarding the anti-Soviet partisan movement, the forms and methods of counteracting it by the government, the positive and negative aspects of the activities of special purpose units ("CHONI/FSP" – Forces of Special Purpose), the main organizers and fighters against the anti-Soviet partisan movement (Beria, Kvantaliani, Tsereteli, Eristavi, etc.) are clarified.

The paper examines the phenomenon of "Cholokaevshchina", its features, and the features of the fight against it. This detachment of partisans became the main driving force of the people's uprising already from 1924.

Finally, we provide the paper with an assessment of the anti-Soviet movement (from the point of view of Soviet and post-Soviet positions). We conclude that the anti-Soviet partisan movement, which began its activities in different regions of Georgia immediately after the establishment of the Soviet power, stood out for its scale and wide distribution, but expectations from the 1924 uprising were much greater than the factual results, which is why the uprising failed.

AN ECHO OF THE DEFEAT OF THE 1924 UPRISING IN EXILE

The suppression and repression of the August 1924 uprising greatly angered Europe. The press of various directions responded to it, the brutality of the Bolsheviks was condemned by European states, socialists, the League of Nations and other international organizations.

Suppression of rebellion in blood found a great response in emigration. In November of the same year, the "Caucasus Liberation Committee" was created on the basis of the confederation with the participation of Georgians, Azerbaijanis, and North Caucasians. The "Prometheus (Amiran) Club" founded in Warsaw in 1925 also led the struggle of the Caucasians. After the 3 Caucasian nations, Ukrainians and Turkestans were added. When the issue of Russia's admission to the League of Nations came up, "Prometheus" promised to save all the Soviet oppressed nations, it was signed as "Prometheus Front" and since 1934, it systematically prepared notes and memoirs for the sessions of the League of Nations and mentioned the problems of the enslaved nations of 53 states.

In order to continue the struggle in emigration, it was initially possible to unite 4 political forces in the "Common Front" in 1925 – Social-Democrats, National-Democrats, Socialist-Federalists, Socialist-Revolutionaries. Young people created a non-party patriotic organization "Momovali". In 1925, it was called "White George" (Tetri Giorgi) and became a powerful movement.

Georgian emigration celebrated religious, Georgian national holidays, celebrations, anniversaries. The impetus for celebrating the mourning and tragic dates was the repression of the occupying authorities in Georgia and the shooting of the Damkom military center in 1923. Then they started celebrating the anniversaries of

the occupation of Georgia – February 25 and the August 1924 uprising. The date of the defeat of the August Uprising was celebrated for the first time by the Society of Georgian Emigrants in Prague and a resolution was adopted at the meeting on August 31, 1925, the anniversary of the Uprising. In February 1926, at the special meeting of the Georgian Society of Paris, it was decided to celebrate the "Day of Mourning" on August 29 every year in the first week of the year.

Before the Second World War, this tragic event was celebrated every year everywhere there were Georgian communities (Paris, Berlin, Munich, Prague, Warsaw, etc.). They paid funerals, invited Caucasians and representatives of the peoples of the former Russian Empire, foreign friends. At the meetings of the community, they spoke with words and memories, performed funeral music, the hymn "Glory" of the independent sakrtvelo, received resolutions and appeals to international organizations. On this day, articles, brochures, and lists of those who were shot and died during the uprising, as well as those who were exiled and captured in the prison of Metekhi, were published.

AUGUST UPRISING OF 1924 IN FOREIGN LANGUAGE WIKIPEDIAS

100 years have passed since the national uprising of August 1924, which was directed against the Bolshevik regime for the salvation of Georgia. This important historical event had a certain international resonance at the time. The public opinion of Europe expressed goodwill towards occupied Georgia and expressed solidarity with the unbroken will of the country that was fighting for freedom and irreconcilable with the conqueror. This was also caused by the fact that the Georgian people faced the Soviet-Bolshevik empire, which was a great challenge for the Western states.

The August armed uprising covered almost all of Georgia. The rebels took Senaki, Samtredia, Vani, and others. But overall, the uprising failed. The members of the Parity Committee were arrested and put on trial. The Soviet regime severely punished the participants in the uprising. According to official information, about 800 people were shot, although the real number of those shot reached 5-6 thousand. Political parties fighting for the independence of the state were subjected to brutal repression, as well as many people suspected of having ties to the rebels.

Among modern advanced high-level technologies, the global computer network Internet stands out, uniting about 5.5 billion web pages. One of the most widely known websites is Wikipedia.

Although Wikipedia does not have a scientific character and purpose, it is so widespread in the network Internet, that it has long become a global phenomenon and contains inexhaustible material on any topic. Wikipedia is one of the most popular websites in the world and is actively used as an information reference.

Today, Wikipedia exists in more than 300 languages, including Georgian, and up to 172 thousand articles have been uploaded (the

largest English-language Wikipedia includes up to 7 million articles). The number of Wikipedia users worldwide reaches 16 billion per month and is among the top ten most visited websites.

Wikipedia, or the so-called free encyclopedia, is considered a bad reference in science and is rarely cited as a source in scientific works. However, publishing an article on this site, especially in different languages, significantly increases awareness of a fact or event, the identity of its participants, and, finally, the country where this fact or event took place.

The report will examine how the August Uprising of 1924 is presented in Wikipedia of more than 10 countries and will focus on the shortcomings and inaccuracies that must be corrected.

**FROM THE HISTORY OF ALLIANCE OF
“THE DETACHMENT OF GEORGIAN OATHS”
WITH THE CHECHENS AND INGUSHS (1922-1924)**

The history of the Georgian-North Caucasian relationship dates back centuries to the depths. During the long coexistence, these peoples, like any neighbouring peoples, were both good neighborly relations and confrontations.

After the collapse of the Russian Empire, the military-political cooperation of the Georgian and North Caucasian peoples resumed, which became especially intense since the end of 1917. The Georgian Democratic Republic and the Mountainous Republic were Strategic Partners.

After the occupation of Georgia, as the Soviet regime pushed for the efforts to consolidate their power in Georgia, an underground opposition movement emerged.

In February 1922, Kaikhosro/Kakutsa Cholokashvili (1888-1930), a former colonel in the Georgian army, was arrested by the Soviet secret services on charges of “counter-revolutionary activities” in the town of Signaghi in his native Kakheti, but fled and went to the mountainous Pankisi Valley, where he formed a group of followers known as “The detachment of Georgian Oaths”.

For more than in 1922-1924 “The detachment of Georgian Oaths” operating in Georgia had contacts both with Kists (uniting term of Chechens and Ingushs in Georgian language) of Pankisi Valley and with Chechens and Ingushs, living in the North Caucasus.

After the Bolsheviks crushed the uprising in Khevsureti (1922), by taking refuge in the mountains of eastern Georgia and Chechnya and Ingushetia, Kakutsa and his militants held out for two years. Revenge murders by Soviet secret executioners made him a nation-

nal hero. Foreign diplomats reported that the “Chelokaev case” caused a lot of trouble for the Bolshevik commanders.

